

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სამედიცინო-
სოციალური დახმარების მიმართულებით
გაწეული მუშაობის შესახებ
2016 წლის 9თვე

სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების მთავარი დანიშნულებაა აფხაზეთის მოსახლეობისთვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებს მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების მისაწვდომობის ხელშეწყობა.

I. „ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ამბულატორიული დახმარება“

ეს მიმართულება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს:

1.1 კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი მიმართულია რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. ითვალისწინებს გამოკვლევას კონტრასტით. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 15 000 ლარს. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკამ“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება N2/10 19.02.2016 6690 ლარზე, ეკონომიამ შეადგინა 8310. სულ პროგრამა მოიცავს 60 ეპიზოდს, ერთეულის ფასია 111,5 ლარი.

პირველ და მეორე კვარტალში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 58 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე (60 ეპიზოდი - 6690 ლარი), რითაც პროგრამის პირველი ნაწილი დასრულდა.

ტენდერის შედეგად მიღებულმა ფინანსურმა ეკონომიამ პროგრამის გაგრძელების საშუალება მოგვცა. გამოცხადდა ახალი ტენდერი 8310 ლარზე. გამარჯვებული გახდა შპს „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება (N107 08.08.2016) პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 7200 ლარს. ეკონომია არის 1110 ლარი.

მესამე კვარტალში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 36 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე (43 ეპიზოდი) - გაიცა მიმირთვები 5160 ლარზე.

ამრიგად „ კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტის “პროგრამის ფარგლებში სამივე კვარტალში დაფინანსდა 92 ბენეფიციარი, სულ 103 ეპიზოდი, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 11850 ლარს.

1. 2 ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტი(ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით, ნარკოზით,) ამოქმედდა მიმდინარე წლის 2 თებერვალს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 55 000 ლარს. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შ.პ.ს. „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, - საუნივერსიტეტო კლინიკამ“, რომელთანაც დაიდო N2/8 02.02.2016წ. ხელშეკრულება 41 300 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 13 700 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ პირველ-მეორე კვარტალში დაკმაყოფილებულ იქნა 199 ბენეფიციარის განცხადება, მათ შორის:

1. *ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია* ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე - 177.
2. *ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია* ანგიოგრაფიით- 15
3. *ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია* ნარკოზით -7

გაიცა მიმართვები 39501 ლარის ღირებულების მომსახურებაზე.

მესამე კვარტალში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 7 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 1799 ლარს , რითაც პროგრამის პირველი ნაწილი დასრულდა.

პროგრამაზე მაღალი მოთხოვნის გამო არსებული ეკონომიის ხარჯზე გამოცხადდა ახალი ტენდერი , ბიუჯეტით 23700 ლარი (პირველი ტენდერის ეკონომიას - 13700 ლარი დაემატა 10000 ლარი), ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „ვერსის კლინიკა“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება (N136 23.09.2016)22480 ლარზე. ეკონომია არის 1220 ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 30 ბენეფიციარი, გაიცა მიმართვები 7576 ლარის ღირებულების მომსახურებაზე.

ამრიგად „**ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტი** პროგრამის ფარგლებში სამივე კვარტალში დაფინანსდა 236 ბენეფიციარი, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 48876 ლარს.

1.3 კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტალური გამოკვლევები კომპონენტის ინსტრუმენტული გამოკვლევების პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციართა უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ინსტრუმენტული გამოკვლევების მიღებაში. პროგრამის განხორციელებისათვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 28 მარტს. ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 8000 ლარით, ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „ავერსის კლინიკა“ საბოლოო თანხით - 7905 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 95 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 73 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე **(39 ეპიზოდი)**. ანაზღაურებული თანხა შეადგენს **5006** ლარს.

1.4 ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 15000 ლარით. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 23 მარტს, გამარჯვებული კლინიკა გახდა - აიპ „თსსუ N1 სტომატოლოგიური კლინიკა“. დაფიქსირებული სატენდერო თანხა შეადგენს 7998.60 ლარს. ეკონომიამ შეადგინა 7001,40 ლარი.

პირველ-მეორე კვარტალში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული **31** ბენეფიციარის განცხადების დაკმაყოფილებაზე **(60 ეპიზოდი)**,

არსებული ეკონომიის ხარჯზე- (7001 ლარი) გამოცხადდა ახალი ტენდერი. გამარჯვებული კლინიკა გახდა შპს „მედიჰელფი“. გაფორმდა ხელშეკრულება (N115 17.08.2016) 4000 ლარზე. ეკონომიამ კვლავ შეადგინა 3001 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითად იქნა გადაწყვეტილი **27** ბენეფიციარის (**30** ეპიზოდი) დაფინანსების საკითხი. პროგრამა ამ ეტაპზე ამოწურულია.

იგეგმება განმეორებით დამატებითი ტენდერის განხორციელება.

ამრიგად, „**ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტის**“ პროგრამის ფარგლებში სამივე კვარტალში დაფინანსდა 58 ბენეფიციარი, (90 ეპიზოდი) ანაზღაურებული თანხა შეადგენს 11998,6 ლარს.

2. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე) ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა.

პროგრამა გულისხმობს საპროგნოზო პერიოდში ჰოსპიტალური დახმარების პროგრამის რეალიზებას, რომლის შემადგენელი ნაწილები (კორონარული ანგიოგრაფიის მომსახურება და ორივე ზედა და ქვედა კიდურის პერიფერიული არტერიოგრაფია) მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების გზით ბენეფიციარებისთვის იმ დახმარების გაწევას, რაც,

ძირითადად, დარჩენილია ცენტრალური (სახელმწიფო) ჯანდაცვითი პროგრამების მომსახურების ჩამონათვალის მიღმა (მათ შორის, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებისა).

„ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა“ ამოქმედდა მიმდინარე წლის 24 მარტს. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 25 000 ლარს. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შ.პ.ს. „იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკამ“, რომელთანაც გაფორმდა N3/10 24.03.2016წ. ხელშეკრულება 20 335 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 4 665 ლარი.

სამივე კვარტალში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა;

1. კორონოგრაფია - 29 ეპიზოდი. ჯამური თანხით- 17980 ლარი
2. ორივე ზედა და ქვედა კიდურების პერიფერიული არტერიოგრაფია- 2 ეპიზოდი. ჯამური თანხით - 942 ლარი.

სულ გახარჯულია 18922 ლარი.

პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი (კორონარული ანგიოგრაფია) ამოიწურა. გამოცხადდა ახალი ტენდერი, მომსახურების ბიუჯეტია - 4665 ლარი, რაც წარმოადგენს წინა ტენდერის ეკონომიას.

3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეაბილიტაციო მკურნალობის პროგრამა ითვალისწინებს დევნილთათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის უზრუნველყოფას. ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 40000 ლარით. 25 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება გამარჯვებულ კლინიკასთან _ „დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრთან“. (N3/1125.03.2016) -20000 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 20000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს 135 ბენეფიციარის დაფინანსებას.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ პირველ-მეორე კვარტალში დაკმაყოფილებულ იქნა სულ 55 ბენეფიციარის განცხადება, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 8140 ლარს.

მესამე კვარტალში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 16 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე. ანაზღაურებული თანხა შეადგენს 1568 ლარს,

ამრიგად **„ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სარეაბილიტაციო მკურნალობის“ პროგრამა** ფარგლებში სამივე კვარტალში დაფინანსდა 71 ბენეფიციარი, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 9304 ლარს.

წინა ტენდერის ეკონომიიდან (20000 ლარი) 10000 ლარი (ბიუჯეტში ცვლილების სახით) მიმართულ იქნა „ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტის“ განხორციელებისათვის, ხოლო დარჩენილ 10000 ლარზე გამოცხადდა ახალი ტენდერი სარეაბილიტაციო მომსახურების შესყიდვაზე.

4. რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის მიზანია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური კვლევისა და მკურნალობის მეთოდების დახმარებით წყვილთა უნაყოფობის ზუსტი დიაგნოსტიკა და პროფილაქტიკა, რაც ეფექტური მკურნალობის საწინდარია.

პროგრამის განხორციელებისათვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 3000 ლარით, ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს „ა. ბ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დეტოლოგიის ცენტრი ენმედიცი“ საბოლოო თანხით - 24000 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 6000 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 9 ბენეფიციარის დაფინანსების თაობაზე ანაზღაურებული თანხა შეადგენს 7500 ლარს.

5.. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის მიზანია ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, დევნილთა მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა. პროგრამა ბიუჯეტი შეადგენს 75000 ლარს, განხორციელება დაიწყო მეორე კვარტალში.

2016 წლის 22 და 23 აპრილს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩაატარა სამედიცინო გასინჯვები „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში კახეთის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) და ქვემო ქართლის (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) რეგიონებში. სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის კლინიკების - „აკად. ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, თვალის კლინიკა შ.პ.ს. „ახალი მზერის“ წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები. გასინჯულ იქნა 150-მდე ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან დევნილები), განხორციელდა 600-მდე ვიზიტი ექიმთან. ექიმების მიერ დანიშნული მკურნალობის შესაბამისად, დევნილ ბენეფიციარებზე დადგენილი წესით გაიცა მედიკამენტები. ღონისძიებაზე გაიხარჯა 4525.094 ლარის მედიკამენტი.

2016 წლის 25, 28 და 31 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში, ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვები იმერეთის რეგიონში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი), კახეთისა (გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ბაკურციხე) და ქვემო ქართლის (მარნეულის

მუნიციპალიტეტი) რეგიონებში. სულ გასინჯული იყო **480 ბენეფიციარი**, განხორციელდა **1500 ვიზიტი** ექიმთან. მათ შორის

ქალაქ სამტრედიაში გასინჯა **200-მდე** ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ ქალაქ სამტრედიაში და დიდ ჯიხაიშში ჩასახლებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები და ადგილობრივი მოსახლეობა). გარდა ამისა, სამტრედიის ღონისძიების ფარგლებში და პარალელურად, ქალაქ ქუთაისში დამატებით ჩატარდა სსიპ ქ.შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლისა და სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეების გასინჯვა ბრტყელტერფიანობისა და ტანდევგობის დარღვევის აღმოსაჩენად. გასინჯა 130 ბავშვი. გასინჯვებს აწარმოებდა პედიატრი და ტრავმატოლოგ-ორთოპედი. დაფიქსირდა **130 ვიზიტი**. სულ გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა **800-მდე** ვიზიტი ექიმთან.

სოფელ ბაკურციხეში გასინჯა **70-მდე** ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ ბაკურციხეში, საგარეჯოსა და გურჯაანში ჩასახლებული დევნილები), განხორციელდა **300-მდე** ვიზიტი ექიმთან.

ქალაქ მარნეულში გასინჯულ იქნა **80-მდე** ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ მარნეულში, თამარისსა და შაუმიანოვკაში ჩასახლებული დევნილები), განხორციელდა **400-მდე** ვიზიტი ექიმთან.

2016 წლის 24-26 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ქალაქი სენაკი, ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის დასახლება)** ჩატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვები,ექიმები. ორივე დღეს სულ მიღებული იყო **250-მდე** ბენეფიციარი (მათ შორის იყვნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული დევნილები, ქალაქ სენაკში ჩასახლებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები და ადგილობრივი მოსახლეობა). სულ გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა **1200-მდე** ვიზიტი ექიმთან. ღონისძიებაზე გაიხარჯა 4722.19 ლარის მედიკამენტი.

2016 წლის 19-21 აგვისტოს დევნილი მოსახლეობის თხოვნით,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ქალაქი ზუგდიდი)** ჩატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვების აქცია,

სამედიცინო გასინჯვების აქციის საბაზო დაწესებულებად განისაზღვრა შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა“.

სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის კლინიკების - შ.პ.ს. „ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტი“-ს, ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი „მზერას“, „აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

ორივე დღეს სულ მიღებული იყო **350-მდე** ბენეფიციარი, გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა **1600-მდე** ვიზიტი ექიმთან.

2016 წლის 3-4 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში ჩაატარა სამედიცინო **გასინჯვები იმერეთის რეგიონში (ქალაქი წყალტუბო, კოპიტნარის დასახლება)**. სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ, მემორანდუმის ფარგლებში, თბილისის კლინიკების - შ.პ.ს. „ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს, ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი „მზერას“, „აკად. ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, თვალის კლინიკა შ.პ.ს. „ახალი მზერას“, კლინიკა „ენმედიცის“, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკის“ წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

წყალტუბოსა (2 დღე) და კოპიტნარში სულ მიღებული იყო **500-მდე** მოქალაქე. გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა **2300-მდე** ვიზიტი.

2016 წლის 16-18 სექტემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)** ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო გასინჯვები,

სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებდნენ თბილისის წამყვანი კლინიკების - შ.პ.ს. „ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს, ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის, „კ. ერისთავის სახ. ქირურგიის ეროვნული ცენტრის“, ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი „მზერას“, ფ. თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“, კლინიკა „ენმედიცის“, „ალ. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ წამყვანი სპეციალისტები, აგრეთვე, დევნილთა სამედიცინო დაწესებულებების ექიმები.

ქალაქ ჯვარში და ქალაქ წალენჯიხაში სულ მიღებული იყო **600-მდე** მოქალაქე. სულ გასვლითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა **2500-მდე** ვიზიტი.

ამრიგად, საანგარიშო პერიოდში „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების“ პროგრამის ფარგლებში სულ გასინჯულ იქნა **2330 ბენეფიციარი**, განხორციელდა **9700 ვიზიტი** ექიმთან.

ამრიგად, 2016 წლის სამი კვარტლის მონაცემებით სამინისტროს **ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში** დახმარება გაეწია სულ 570 ბენეფიციარს, და ანაზღაურებული თანხა შეადგენს 113456 ლარს. მათ შორის **ამბულატორიული ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში** დახმარება გაეწია 459 ბენეფიციარს და ანაზღაურებული თანხა შეადგენს 77730 ლარს (80%), ხოლო **ჰოსპიტალური ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში** დახმარება გაეწია 31 ბენეფიციარს და ანაზღაურებული თანხა შეადგენს 18922 ლარს (93%),

სამინისტროში მოქმედი ყველა პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია **2900 ბენეფიციარს**.

სხვადასხვა სამედიცინო ცენტრთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში სამედიცინო გასინჯვების ჩატარება მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ეგიდით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სფარგლებში, **2016 წლის 4 მარტს** განხორციელდა ერთობლივი აქცია კლინიკა „ენმედიტან“, რომელიც მოიცავდა აფხაზეთიდან დევნილი მრავალშვილიანი დედების სამედიცინო გასინჯვებს. მიღებული იყო 20 ბენეფიციარი, განხორციელდა 130-მდე ვიზიტი ექიმთან. საჭიროებებიდან გამომდინარე, გამოკვლეულნი იყვნენ რავალშვილიანი დედების ოჯახის წევრები (შვილები).

2016 წლის 16 მაისს - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ჩიჩუების სამედიცინო ცენტრს „მზერას“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი .

2016 წლის 30 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჩიჩუების სამედიცინო ცენტრ „მზერას“ შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ ბენეფიციარებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ. დევნილებს გამოკვლევები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა ექიმთა ჯგუფმა ჩაუტარა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ოფთალმოლოგი, მამოლოგი, გინეკოლოგი,

ენდოკრინოლოგი, ქირურგი, თერაპევტი, დერმატოლოგი, ვენეროლოგი, ექოსკოპისტი, რენტგენოლოგი, მამოგრაფი და პროქტოლოგი.

აქციის ფარგლებში გაისინჯა 120 დევნილი და დაფიქსირდა 300-მდე ვიზიტი.

სამედიცინო აქციას მონიტორინგს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე და კლინიკის დირექტორი ალექსანდრე ჩიჩუა უწევდნენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2016 წლის 2 ივნისს **ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით** განხორციელდა ერთობლივი აქცია კლინიკა „ენმედიტან“, რომელიც მოიცავდა აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების სამედიცინო გასინჯვებს : პედიატრის, ოჯახის ექიმისა და ვიწრო სპეციალისტების (ოტორინოლარინგოლოგი, ნევროლოგი, ექიმი-ფსიქოთერაპევტი, ენდოკრინოლოგი, კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, დერმატოლოგი)კონსულტაციებს, სხვადასხვა სისტემის ექოსკოპიურ გამოკვლევას, სისხლის საერთო ანალიზს და TSH-ის განსაზღვრას სისხლში. მიღებული იყო **20 ბენეფიციარი**, განხორციელდა **130-მდე ვიზიტი**. დევნილ ბავშვებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

სამინისტრო აანალიზებს პროგრამების/კომპონენტების მიმდინარეობის მდგომარეობას, ამოწმებს შესრულებულ სამუშაოზე ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ მასალებს (რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასპექტი), რაც საბოლოო, დასაბუთებული დასკვნის ან/და კონკრეტული რეაგირების საფუძველს წარმოადგენს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2016 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ელექტრონულად შემოსული იყო 3277 დოკუმენტი. მათ შორის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სულ 1625 განცხადება, აქედან მომზადდა 773 შუამდგომლობის წერილი (სამედიცინო დახმარების თაობაზე) სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში.

უმეტეს შემთხვევაში ბენეფიციართა დაფინანსების საკითხი გადაწყდა დადებითად; კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში წარდგენილი შუამდგომლობებიდან დაფინანსდა 107 ბენეფიციარი, , საერთო თანხით 25855 ლარი.

აფხაზეთის მთავრობიდან შემოვიდა 570 წერილი, რომელზედაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომზადდა შესაბამისი პასუხი.

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალაქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, განსახლება და შექმნილი პრობლემების დროს დაუყოვნებლივი რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე დინამიკაში საგრძნობლად მატულობს ასეთი მოქალაქეების რაოდენობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ქართული მედიცინის მაღალეფექტურობაზე, აფხაზი მოქალაქეების მხრიდან ნდობის სერიოზულ აღდგენაზე მიუთითებს.

2016 წლის სამი კვარტლის მონაცემებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებისათვის მომართა ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრებმა 1075 პირმა.

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ეთნიკურად აფხაზი მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევის ორგანიზაციულ საკითხებში აქტიური მონაწილეობა.

დაწყებული პაციენტის სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოყვანის პროცედურებიდან, დამთავრებული სპეციალიზებულ კლინიკებში მათი სამედიცინო მომსახურებით, სამინისტრო აქტიურადაა ჩართული ყველა რგოლში. ამ მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის აპარატთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და კლინიკებთან ხორციელდება მჭიდრო კავშირურთიერთობები.

ცნობილია და ამას არაერთი შემთხვევა ადასტურებდა, რომ აფხაზ ავადმყოფთა თანმხლებ პირებს, არცთუ იშვიათად, თბილისში დროებითი საცხოვრებლის პრობლემას ჰქონდათ, რაც ართულებდა პაციენტთა თბილისში ჩამოყვანის საკითხს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელა აფხაზ პაციენტთა თანმხლები პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტი. კერძოდ კალოუბნის ქ.#16-ში მდებარე სამედიცინო კორპუსში 66 კვადრატული მეტრი ფართობზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული პროექტის რეალიზების შემდეგ, სამინისტროს განკარგულებაში არის საცხოვრისი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური პროგრამით მოსარგებლეთათვის. (2 საცხოვრებელი ოთახი, სამზარეულო-სასადილო და სველი წერტილი. ეს ბლოკი იზოლირებულია კორპუსში განთავსებული დაწესებულებებისგან).

2016 წლის სამი კვარტლის მონაცემებით რეფერალური ობიექტით (საცხოვრისით) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 39-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესი“-ს (მინისტრის ბრძანება №46, 19.02.2016წ.)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და კონკრეტული აქტივობები განხორციელდება 2016 წლის

სამუშაო გეგმის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალებების, აგრეთვე, კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით.